ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის ფარგლებში გადმოსვლის მსურველ და/ან გადმოსულ, აღდგენილ სტუდენტთა

კრედიტების აღიარების წესი

I. კრედიტების აღიარების პრინციპები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სხვა აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან მობილობის ფარგლებში გადმოსვლის მსურველი და/ან გადმოსული და/ან აღდგენილი სტუდენტების (შემდგომში: სტუდენტი) კრედიტების აღიარება ექვემდებარება შემდეგ პრინციპებს:

1. ECTS (კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა) კრედიტებთან შესაბამისობა;
2. სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმთან შესაბამისობა;
3. საუნივერსიტეტო კურიკულუმთან შესაბამისობა (ეს ეხება ე. წ. თავისუფალ კრედიტებს).

II. კრედიტების აღიარების პროცედურა. თითოეულ ფაკულტეტზე, დეკანის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ერთი წლის ვადით იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია (შემდგომში: კომისია), ან კომისიები, ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, რომელშიც შედის:

1. შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/კოორდინატორი და/ან მის მიერ რეკომენდებული პირი/პირები (აკადემიური პერსონალი ან ხელშეკრულებით მოწვეული, შესაბამისი დარგობრივი კვალიფიკაციის მქონე პირი);
2. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები;
3. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი/ წარმომადგენლები.
4. ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის სხვა წარმომადგენლები ფაკულტეტის დეკანის გადაწყვეტილებით.

კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოგვარება და სტუდენტთა კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება ევალება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს.

თუ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულია, კომისია უფლებამოსილია სტუდენტს არ უღიაროს კრედიტები.

კომისია იკრიბება საჭიროებისამებრ. კომისიის საქმიანობას წარმართავენ მისი თავმჯდომარე და მდივანი. ამ უკანასკნელს ევალება სხდომების ოქმის წარმოება. კრედიტების აღიარების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომის მონაწილეების ხმათა უბრალო უმრავლესობით.

კომისიის დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები და მდივანი (იხ. ფორმა 1). უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის შემთხვევაში, კომისიის დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე აკეთებს წარდგინებას კრედიტების აღიარების თაობაზე.

სტუდენტებს უღიარდებათ:

ა) ე. წ. საფაკულტეტო საგნების კრედიტები (იგულისხმება ის საფაკულტეტო საგნები, რომლებიც სტუდენტს ანიჭებენ ამა თუ იმ აკადემიური ხარისხის მისაღებად საჭირო ზოგად დარგობრივ კომპეტენციებს. მაგალითად, ჰუმანიტარულ, საბუნებისმეტყველო, სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი და სხვ.);
ბ) სტუდენტის მიერ არჩეული საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები;
გ) ე. წ. თავისუფალი კრედიტები (ე. წ. თავისუფალ კრედიტად შეიძლება აღიარებულ იქნას მხოლოდ ისეთი საგანი, რომლის ეკვივალენტიც არსებობს საუნივერსიტეტო კურიკულუმში, ანუ სხვა ფაკულტეტების საგანმანათლებლო პროგრამებში. სათანადო ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, ან შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში).

ვინაიდან ე. წ. თავისუფალ საგნებად მიჩნეული სასწავლო კურსების რაოდენობა შეიძლება ასაღიარებელი კრედიტების რაოდენობაზე მეტი იყოს, კომისია ამ საგნების ჩამონათვალიდან ირჩევს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც სტუდენტს ყველაზე მაღალი შეფასებები აქვს მიღებული.

მას შემდეგ, რაც ბაკალავრიატის სტუდენტი წარმატებით ჩააბარებს გადმოსაყვან გამოცდას, შესაძლებელია მას გაეწიოს რეკომენდაცია, თუ რომელ დამატებით (ე. წ. minor) საბაკალავრო პროგრამას შეესაბამება მისი ე. წ. თავისუფალი კრედიტები.

იმ შემთხვევაში, თუ ბაკალავრიატის სტუდენტს სურს, დამატებითი (ე. წ. minor) პროგრამის გავლა, რამაც შეიძლება გამოიწვიოს აღიარებული კრედიტების რაოდენობის ცვლილება, მაშინ გადმოსულმა სტუდენტმა შესაბამისი განცხადებით უნდა მიმართოს ფაკულტეტის ადმინისტრაციას.

III. კრედიტების აღიარების რეგულაციები:

1. მას შემდეგ, რაც ამოქმედდება კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩო და საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კურიკულუმები დაეფუძნება სწავლის შედეგებს, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) კომპეტენციებს, სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება მოხდება სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე, სტუდენტის მიერ გავლილი საგნების სილაბუსების ანალიზის შედეგად.

2. კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ამოქმედებამდე, კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს მოსთხოვოს მის მიერ გავლილი სასწავლო კურსების სილაბუსები. სილაბუსების მოთხოვნა არ ვრცელდება აღდგენილ სტუდენტებზე.

3. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა თსუ-ს საგნის დასახელებასა და კრედიტებს, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად.

4. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა აღემატება თსუ-ს შესაბამისი საგნის კრედიტების რაოდენობას, მაშინ ხდება იმდენი კრედიტის აღიარება, რამდენსაც ითვალისწინებს თსუ-ს კურიკულუმი (მაგალითად, თუ სტუდენტს მოსმენილი აქვს ესა თუ ის 10 კრედიტიანი კურსი, ხოლო თსუ-ში ანალოგიური კურსი 5 კრედიტიანია, მაშინ სტუდენტს ვუღიარებთ მხოლოდ 5 კრედიტს).

5. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის კრედიტები 1 ან 2 კრედიტით ნაკლებია თსუ-ს შესაბამისი საგნის კრედიტებზე, მაშინ ამ სასწავლო კურსის აღიარების საკითხს წყვეტს კომისია საგნის სილაბუსის, სწავლის მიზნებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული სასწავლო კურსის აღიარების შემთხვევაში, კომისია სტუდენტს კრედიტებს უღიარებს იმ რაოდენობით, რა რაოდენობითაც მას ეს საგანი გავლილი აქვს პირველად უნივერსიტეტში. თუ ამ შემთხვევაში სტუდენტს დააკლდება საგანმანათლებლო პროგრამით სავალდებულო საგნებისათვის გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობა, მისი შევსება შესაძლებელია არჩევითი საგნების ხარჯზე.

6. თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება არ ემთხვევა თსუ-ს საგნების დასახელებას, კომისიას შეუძლია ზოგადი ხასიათის საგანი სტუდენტს უღიაროს როგორც შესაბამისი დარგის, სპეციალობის შესავალი (მაგ. “სოციოლოგია” როგორც “შესავალი სოციოლოგიაში”), ხოლო სპეციფიკური საგნების აღიარება შეიძლება მოხდეს ფაკულტეტის შესაბამისი მიმართულების კურიკულუმის საგნებთან თემატური, შინაარსობრივი შეთავსების საფუძველზე (მაგ. “თანამედროვე პოლიტიკური სისტემა” შეიძლება აღიარებულ იქნას როგორც “შედარებითი პოლიტიკა” და სხვ.).

7. თუ სტუდენტს გავლილი აქვს მეორე უცხოური და/ან კლასიკური ენა, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია, მეორე უცხოური და/ან კლასიკური ენის კრედიტები აღიარებულ იქნას ე. წ. თავისუფალ კრედიტებად.

8. თუ სტუდენტს თსუ-ს კურიკულუმთან თავსებად რომელიმე საგანში მიღებული აქვს ე. წ. “დიფერენცირებული ჩათვლა”, მაშინ ხდება მისი აღიარება და შესაბამისი ქულის მითითება შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე კონვერტაციის პრინციპების შესაბამისად.

9. შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე კონვერტაცია ხდება შემდეგი პრინციპით:

ფრიადი (5)	91 ქულა	A
კარგი (4)	84 ქულა	B
დამაკმაყოფილებელი (3)	69 ულა	D

10. ე. წ. არადიფერენცირებული “ჩათვლის” აღიარება ხდება მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აღდგენის უფლებით გარიცხული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით აღდგენილი სტუდენტებისთვის. ე. წ. არადიფერენცირებულ “ჩათვლას” ქულა ენიჭება პირობითად: სტუდენტის მიერ ყველა საგანში მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკული (მთელ რიცხვამდე დამრგვალებული).

11. თუ გადმოსვლის მსურველი და/ან გადმოსული სტუდენტის ე. წ. პირველადი უნივერსიტეტი იყენებს არა ECTS კრედიტებს, არამედ განსხვავებულ საკრედიტო სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას საერთო ევროპულ ECTS კრედიტების სისტემასთან.

12. თუ გადმოსვლის მსურველი და/ან გადმოსული სტუდენტის ე. წ. პირველად უნივერსიტეტს არ გააჩნია საკრედიტო სისტემა, მაშინ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უნივერსიტეტის მიერ გაცემული სასწავლო ბარათი (ოფიციალური დოკუმენტი), სადაც მითითებული იქნება: თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა (რამდენი კვირის მანძილზე სწავლობდა სტუდენტი ამ სასწავლო კურსს და კვირაში რამდენი საათი ეთმობოდა მას). აღნიშნული კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება პირობითად, შემდეგი სისტემის მიხედვით: თითოეული სასწავლო კურსის საკონტაქტო საათებს ემატება დამოუკიდებელი მუშაობის საათები (საკონტაქტო საათების გამრავლებით შესაბამის კოეფიციენტზე (მაგალითად, 2-ზე ან სხვა ციფრზე) სასწავლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით), ხოლო საათების მიღებული რაოდენობა იყოფა 25-ზე, ანუ 1 კრედიტის საათების რაოდენობაზე. ხდება აღნიშნული წესით დაანგარიშებული არამთელი კრედიტების დამრგვალება.

13. თუ გადმოსვლის მსურველი და/ან გადმოსული სტუდენტის ე. წ. პირველადი უნივერსიტეტი იყენებს შეფასების არა 100 ქულიან, არამედ განსხვავებულ სისტემას, სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს პირველადი უნივერსიტეტის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც განმარტავს ამ სისტემის შესაბამისობას შეფასების 100 ქულიან სისტემასთან.

14. აღდგენილი სტუდენტების მიერ გავლილი სასწავლო კურსებისთვის კრედიტების მინიჭება ხდება აღნიშნული დოკუმენტის III მუხლის მე-13 პუნქტში მოცემული წესის მიხედვით.

15. აღდგენილი სტუდენტების შეფასების 5 ბალიანი სისტემის 100 ქულიან სისტემაზე კონვერტაცია ხდება აღნიშნული დოკუმენტის III მუხლის მე-9 პუნქტში მოცემული წესის მიხედვით.

16. სტუდენტების კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებულ საჩივრებს განიხილავს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და შესაბამის რეკომენდაციებს შეიმუშავებს ფაკულტეტის/ფაკულტეტების ადმინისტრაციის მიმართ.

IV. სემესტრის განსაზღვრა აღიარებული კრედიტების მიხედვით: აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან გამომდინარე, სტუდენტს ეძლევა რეკომენდაცია სწავლა განაგრძოს გარკვეული სემესტრიდან:

აღიარებული კრედიტი	**შესაბამისი სემესტრი**
0 - 20	I სემესტრი
21 - 50	II სემესტრი
51 - 80	III სემესტრი
81 - 110	IV სემესტრი
111 - 140	V სემესტრი
141 - 170	VI სემესტრი
171 - 200	VII სემესტრი
201 - 240	VIII სემესტრი

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, ამ ფაკულტეტის კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოქმედებს განსხვავებული წესი:

აღიარებული კრედიტი	**შესაბამისი სემესტრი**
0 - 30	I სემესტრი
31 - 60	II სემესტრი
61 - 90	III სემესტრი
91 - 120	IV სემესტრი
121 - 150	V სემესტრი
151 - 180	VI სემესტრი
181 - 210	VII სემესტრი
211 - 240	VIII სემესტრი
241 - 270	IX სემესტრი
271 - 300	X სემესტრი
301 - 330	XI სემესტრი
331 - 360	XII სემესტრი

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან, კურიკულუმის შემადგენელი სასწავლო კურსების წინაპირობებიდან და მათი გამოცხადების გრაფიკიდან, სტუდენტის ინდივიდიალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, შესაძლებელია მას დასჭირდეს დამატებითი სემესტრის (სემესტრების) გავლა.

აღიარებული კრედიტების მიხედვით სემესტრის განსაზღვრის მოცემული შკალა შეესაბამება სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების დღეს მოქმედ ნორმატიულ აქტებს და შეიცვლება მათი შეცვლის შემთხვევაში.